



ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია

ზეთსაცავის მოწყობის პროექტის სკრინგის ანგარიში

შემსრულებელი: ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“
თავმჯდომარე: ილია ოქრომელიძე

2020



საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია:

კომპანიის იურიდიული მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

საკონტაქტო პირი:

საკონტაქტო ტელეფონი:

ელექტრონული ფოსტა:

სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“

ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა #19; 0186,თბილისი

405182626

მარიამ მჭედლიშვილი

+995 (77) 35 10 55

mariam.mchedlishvili@energo-pro.ge

საკონსულტაციო კომპანია:

თავმჯდომარე:

საკონტაქტო ტელეფონი:

ელექტრონული ფოსტა:

ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“

ილია ოქრომელიძე

+995 (99) 27 50 10

iliaokromelidze@gmail.com

შინაარსი

1. შესავალი.....	4
2. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა	4
3. საპროექტო ზეთსაცავის ადგილმდებარეობა.....	5
5. გარემოს ფონური მდგომარეობა პროექტის განხორციელების არეალში	12
5.1. გეოლოგიური პირობები.....	12
5.2. ჰიდროლოგეოლოგია	12
5.3. ჰიდროლოგია.....	13
5.4. კლიმატური პირობები.....	13
5.5. ნიადაგი და ლანდშაფტი.....	13
5.6. ატმოსფერული ჰაერის ფონური მდგომარეობა.....	14
5.7. ბიომრავალფეროვნება.....	14
5.8. დაცული ტერიტორიები	14
5.9. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, არქეოლოგია	14
6. ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ.....	14
6.1. ზემოქმედება წყლის გარემოზე	14
6.2. ზემოქმედება ნიადაგებზე	15
6.3. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.....	15
6.4. ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე.....	15
6.5. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე.....	16
6.6. ზემოქმედება ნარჩენების წარმოქმნის შედეგად	16
6.7. ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელება	16
6.8. ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი.....	16
6.9. კუმულაციური ზემოქმედება	16
7. დასკვნა.....	19

1. შესავალი

ზეთსაცავის მოწყობა იგეგმება სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“ კუთვნილ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს ქალაქ ქუთაისთან, გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის გუმათჰესი 1-ის ტერიტორიაზე.

საცავის მოწყობა დაიგეგმა იმ მიზნით, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“ სჭირდება გარკვეული მარაგის ზეთების კასრების დასაწყობება, მის საკუთრებაში არსებული ობიექტებისთვის.

ზეთების საცავი მოემსახურება კომპანიის საკუთრებაში არსებულ დასავლეთ საქართველოს ჰიდროელექტროსადგურებს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-6 პუნქტის 6.3. ქვეპუნქტის თანახმად „ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია“ ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

2. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა

საპროექტო ზეთსაცავში, განთავსდება ორას ლიტრიანი კასრებით მიღებული ახალი ზეთი და პერიოდულად გადანაწილდება კომპანიის კუთვნილ ობიექტებზე. ზეთსაცავის შენობის ტევადობა გათვლილია არაუმეტეს 200 კასრის დასაწყობებისთვის.

ზეთის შემცველი ავზების საცავი გადახურული და აღჭურვილი იქნება უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან ზეთსაცავისთვის მოეწყობა ზეთდამჭერი, რომელიც ავარიის შემთხვევაში შეძლებს სრულად მიიღოს დასაწყობებული მაქსიმალური რაოდენობის ავზებიდან (არაუმეტეს 200 ცალი) შემცველობის მიხედვით დათვლილი ზეთი.

საპროექტო ტერიტორიაზე, გუმათის ჰიდროელექტროსადგურის გზშ ანგარიშის თანახმად, განთავსებულია გაუქმებული ძველი ზეთსაცავი, რომელიც წლებია აღარ ფუნქციონირებს, კერძოდ ზეთის მომარაგების ცენტრალიზებული სისტემის მოშლის შემდგომ.

ზეთსაცავის საჭიროება არ არის განპირობებული გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის ფუნქციონირებით. მისი მოწყობა წარმოადგენს კომპანიის საჭიროებით განსაზღვრულ აუცილებლობას და მოემსახურება სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“ კუთვნილ ობიექტებს, მათ შორის გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადს.

საცავის განთავსებისთვის აღნიშნული ტერიტორიის შერჩევა მოხდა რადგან:

- წარმოადგენს სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“ საკუთრებას;
- აქვს ოპტიმალური მდებარეობა კომპანიის საკუთრებაში არსებულ დასავლეთ საქართველოს ჰიდროელექტროსადგურებთან მიმართებით;

- ადვილია მისადგომა;
- ადვილია მისი ოპერირება;
- უსაფრთხოების კუთხით ადვილია მისი მართვა;
- არ იკვეთება გუმათის ჰიდროელექტროსადგურის მართვისათვის საჭირო ტერიტორიასთან;
- მაქსიმალურად არის დაცელებული მდ. რიონის კალაპოტისაგან.


3. საპროექტო ზეთსაცავის ადგილმდებარეობა

საპროექტო ზეთსაცავი მდებარეობს ქალაქ ქუთაისის ჩრდილოეთით, გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის გუმათჰესი 1-ის ტერიტორიაზე. კერძოდ, გუმათჰესი 1-ის ქვედა ბიეფში, სადერივაციო არხის მარცხენა სანაპიროზე.

საპროექტო ობიექტსა და სადერივაციო არხს შორის მდებარეობს გზა და შემდგომ გამწვანებული ტერიტორია. მოსაწყობი ზეთსაცავი სადერივაციო არხიდან დაშორებულია დაახლოებით 35 მეტრით, წყალსაცავიდან დაახლოებით 130 მეტრით, ხოლო გუმათის დასახლებიდან დაახლოებით 150 მეტრით.

საპროექტო ტერიტორიას გზის მხარეს გააჩნია ბეტონის 1,5 მ სიმაღლისა და 33 სმ სისქის დამცავი კედელიც.

სურათი 3.1.



4. ზეთსაცავის საპროექტო მახასიათებლები

ზეთსაცავის საპროექტო შენობა დაფუძვნებულია მონოლითურ ლენტურ-წერტილოვან საძირკველზე, რომელზეც მოეწყობა ლითონის სვეტები. ზეთსაცავის შენობის პარამეტრებია 18600 X 7600 მმ, სიმაღლე - 3950 მმ.

გადახურვა წარმოადგენს მსუბუქ კონსტრუქციას ლითონის ფერმებით, შემდგომი ლითონის პროფილირებული ფურცლის საბურვლის გადახურვით.

ზეთსაცავის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია:

განაშენიანების ფართი - 141,4 მ²;

საერთო ფართი -126,0 მ²;

სამშენებლო მოცულობა - 558,5 მ³.

პროექტის მიხედვით ასევე მოეწყობა ავარიული ზეთშემკრები სისტემა. ავარიული ზეთშემკრები სისტემა უზრუნველყოფს ავარიის შემთხვევაში დაღვრილი ზეთის სრულად გადასვლას ზეთშემკრებ რეზერვუარში.


ავარიული ზეთშემკრები სისტემა შედგება:

- მიწისზედა ავარიული ზეთშემკრები რკინაბეტონის ზღურბლისგან ე.წ. ბეტონის აბაზანა (მთელ პერიმეტრზე ზღურბლის სიმაღლე იქნება 40 სმ. აღნიშნული ბეტონის აბაზანა სრულად იტევს 50 ტონას);
- მიწისქვეშა ზეთშემკრები რკინის 5 ტონიანი ავზისგან;
- ზეთშემკრები მილისგან;
- აღნიშნული ზღუდარები მოექცევა ბეტონის კედლის შიგნით და ფატობრივად ზეთდამჭერი მოთავსდება ორმაგი დამცავი კედლის შიგნით (ერთი - ბეტონის 40 სმ სიმაღლის აბაზანა და მეორე - მის გარეთ 1,5 მ სიმაღლის ბეტონის კედელი).


ქვემოთ წარმოდგენილია შემდეგი ნახაზები: ფასადების გეგმა (550-GUM-10M110), გეგმა და ჭრილი 1-7 ღერძებს შორის ყალიბისათვის (550-GUM-10M113), ფილის მოწყობის გეგმა (550-GUM-10M114), ფერმის კონსტრუქცია (550-GUM-10M111), ავარიული ზეთშემკრები სისტემის გეგმა (550-GUM-10M11).

ზეთსაცავის მოწყობის პროექტის სკრინინგის ანგარიში

სურათი 4.3. ფილის მოწყობის გეგმა 550-GUM-10M114




სურათი 4.4. ფერმის კონსტრუქცია 550-GUM-10M111



ზეთსაცავის მოწყობის პროექტის სკრინინგის ანგარიში

სურათი 4.5. ავარიული ზეთშემკვრები სისტემა 550-GUM-10M112



5. გარემოს ფონური მდგომარეობა პროექტის განხორციელების არეალში

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს იმერეთის რეგიონში, ქალაქ ქუთაისის ჩრდილოეთით. ქალაქის უკიდურესი დაბლობი ზღვის დონიდან მდებარეობს 96 მეტრზე, ცენტრალური ნაწილი 125 მეტრზე, ხოლო ყველაზე მაღლობი ადგილი 235 მეტრზე მაღლა. ქუთაისში განთავსებულია რკინიგზებისა და გზატკეცილების ხშირი ქსელი.

საქართველოს გეომორფოლოგიური დანაწილების სქემის მიხედვით საპროექტო ტერიტორია შედის კოლხეთის აღმოსავლეთ ნაწილის, კერძოდ იმერეთის დაბლობის ფარგლებში.

საპროექტო ტერიტორია მთლიანად იმყოფება ურბანულ და ტექნოგენურ ზონაში.

5.1. გეოლოგიური პირობები

მიმდებარე ტერიტორიების გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებს იურიული, ცარცული და მეოთხეული ნალექები. იურიული ნალექები წარმოდგენილია ქვედა იურიული ფიქლებით, ქვიშაქვებით, შუა იურიული ასაკის პორფირიტული წყებით და ბათური ნალექებით, ცარცული ასაკის დოლომიტებით, კირქვებით, კრისტალური კირქვების მერგელებით, მერგელოვანი თიხებით, მერგელებით.

მეოთხეული ნალექები წარმოდგენილია ფხვიერი კონგლომერატებით, თიხებით, ქვიშებით, კაჟარ-კენჭნარით, ქვიშნარით, თიხნარით და ა.შ.

ქვედა იურიული ნალექები საკვლევ ტერიტორიაზე მცირე გავრცელებისაა. გაცილებით ფართოდ არის გავრცელებული ბაიოსის პორფირიტული წყება (შუა იურა), ხოლო ნაკლებად - ბათური ფურცლოვანი ფიქლები და ნახშირიანი წყლების ნალექები.

ცარცული ნალექები წარმოდგენილია ყველა სართულით, დაწყებული ვალანჟინურ-ჰორტივული, გაგრძელებული ბარემული, აპტ-ალბის, ზედა ცარცული ასაკის სენომანური, ტურონულ-დანიურის ჩათვლით.

5.2. ჰიდროლოგიკოლოგია

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით მიმდებარე ტერიტორია შედის საქართველოს ბელტის წყალტუბოს ფოროვანი, ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყლების არტეზიულ აუზში.

საკვლევ ტერიტორიის ფარგლებში გამოიყოფა შემდეგი წყალშემცველი ჰორიზონტები და კომპლექსები: თანამედროვე ალუვიური ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტი, ზედა ცარცული ნალექების წყალშემცველი კომპლექსი, ქვედა ცარცული ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტი, იურიული ნალექების წყალშემცველი კომპლექსი..

5.3. ჰიდროლოგია

ქ. ქუთაისის და ახლომდებარე რაიონების წყლის მთავარი არტერიაა - დასავლეთ საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარე – რიონი.

მდ. რიონი სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფის სამხრეთ კალთებზე მყინვარებიდან, ზღვის დონიდან 2960 მეტრზე. ზემოწელში მიედინება ვიწრო ღრმა ხეობაში, ლეჩხუმისა და რაჭის ქედებს შორის - ვრცელ დაბლობზე, შემდეგ ისევ ვიწრო ხეობაში, ქუთაისის ქვემოთ გადის კოლხეთის დაბლობზე, სადაც იყოფა ტოტებად. რიონის კალაპოტი ოდნავ შემალღებულია მიმდებარე დაბლობთან და მეანდრირებს. შავ ზღვასთან შერთვისას ქმნის დელტას. რიონის სიგრძე 327 კმ-ია, აუზის ფართობი - 13 400 კმ², წყლის ხარჯი შესართავთან - 405 მ³/წმ. წყლის ძირითადი ნაკადი შავ ზღვაში ჩაედინება არხის მეშვეობით, რომელიც აშენდა 1939 წელს ქ. ფოთის წყალდიდობისაგან დასაცავად.

მდინარე რიონის საშუალო წლიური ხარჯი შეადგენს 132,7 მ³/წმ. და სხვადასხვა პერიოდებში იცვლება 26 მ³/წამ-დან 400 მ³/წამ-დე.

მდინარის კვება შერეულია: ძირითადად საზრდოობს წვიმებით, ზემოწელში - მყინვარის წყლებით. მდინარე სანაოსნოა შესართავიდან 95 კმ-ზე. გამოიყენება სარწყავად. მდ. რიონზე მდებარეობს ქალაქები: ონი, ქუთაისი, ფოთი.

5.4. კლიმატური პირობები

საპროექტო ტერიტორია მოქცეულია დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის ოლქში.

კავკასიონის მთავარი ქედი ხელს უშლის ჩრდილოეთიდან წამოსული ცივი ჰაერის მასების გავრცელებას, რის გამოც აქ უფრო თბილი ჰავაა, ვიდრე ამავე განედზე მდებარე სხვა მეზობელ მხარეებში. მეორე მხრივ ზღვიდან მონაბერ ქარებს მოაქვთ ჰაერის ტენიანი მასები, რომლებიც იწვევენ ნალექების დიდი რაოდენობით მოსვლას.

ქ. ქუთაისში ტენიანობის საშუალო წლიური მაჩვენებელი 70% განისაზღვრება, ზამთრის თვეებში კი სინოტივე იკლებს და 64% შეადგენს. ქალაქისა და მისი მიდამოების ჰავის ძირითადი ნიშნები ხასიათდება შედარებით მშრალი და ცხელი ზაფხულით, ზომიერად თბილი ზამთრით და ხშირი, ძლიერი აღმოსავლეთის ფონური ქარებით.

5.5. ნიადაგი და ლანდშაფტი

რეგიონში ვრცელი ფართობი უჭირავს სხვადასხვა ხეობის სუბტროპიკულ ეწერ ნიადაგს, ძლიერ და სუსტად გაეწრებულ, სუსტად გაეწრებულ ლორღიან და ეწერიან ნიადაგებს. მდ. რიონის გასწვრივ განვითარებულია საშუალო და დიდი სისქის ალუვიური ნიადაგები.

კირქვების გამოფიტვის პროდუქტებზე ჩამოყალიბებულია კორდიან-კარბონატული ხირხატიანი ნიადაგი, ბორცვიან მთისწინეთში-ყვითელმიწა.

რეგიონი მოქცეულია ნოტიო სუბტროპიკული ვაკეთა და ნოტიო ჰავიანი მთის ტყის ლანდშაფტური ტიპების ფარგლებში. ძირითადად გვხვდება ვაკე-ბორცვიანი, სუბტროპიკულ ჰავიანი, კოლხური მცენარეულობით, ალუვიური და ეწერ ნიადაგებიანი ლანდშაფტური ტიპები.

5.6. ატმოსფერული ჰაერის ფონური მდგომარეობა

ტერიტორიის მიმდებარედ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროები არ არის განლაგებული.

5.7. ბიომრავალფეროვნება

საპროექტო ზეთსაცავის მდებარეობს სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“ საკუთრებაში არსებული გუმათის ჰიდროელექტროსადგურის ტერიტორიაზე, რომელიც ფუნქციონირებს გასული საუკუნის 50 წლებიდან.

ზეთსაცავის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ არის აღრიცხული მცენარეთა სახეობები, რომელიც საჭიროებს დაცვის განსაკუთრებულ ღონისძიებებს.

ცხოველთა სახეობები, რომლებიც ტიპურია ამ რეგიონისათვის მიმდებარე ტერიტორიაზე პრაქტიკულად არ გვხვდება.

5.8. დაცული ტერიტორიები

ყველაზე ახლოს მდებარე დაცული ტერიტორია - სათაფლიის ნაკრძალი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 3 კილომეტრით.

5.9. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, არქეოლოგია

საპროექტო ტერიტორიაზე ისტორიული და არქიტექტურულ-კულტურული ძეგლები არ გვხვდება.

6. ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ

6.1. ზემოქმედება წყლის გარემოზე

საპროექტო ზეთსაცავში შემოტანილი ორას ლიტრიანი კასრები იქნება ქარხნულად დალუქული, რომლებიდანაც ზეთის გაჟონვის რისკი პრაქტიკულად არ არსებობს. მიუხედავად ამისა, კომპანიის მიერ ზეთსაცავისთვის გათვალისწინებულია ავარიული

ზეთშემკრები სისტემის მოწყობა. კასრების მიღება და გაცემა მოხდება მათი გახსნის გარეშე, შესაბამისად ზეთთან დაკავშირებული საქმიანობები არ იგეგმება.

ავარიული ზეთშემკრები შედგება მიწისზედა ავარიული ზეთშემკრები რკინაბეტონის ზღურბლის ე.წ. ბეტონის აბაზანისგან, რომელიც მოიცავს საცავის მთელ პერიმეტრს, სადაც მოწყობილი იქნება 40 სმ სიმაღლის ზღურბლი. აღნიშნული ბეტონის აბაზანა გათვლილია 50 ტონაზე. ასევე შენობას ექნება 5 ტონიანი მიწისქვეშა ზეთშემკრებიც. საერთო ჯამში ზეთდამჭერ სისტემა გატვლილია 55 ტ ზეთზე.

ამასთან ექსპლუატაციის პროცესი არ საჭიროებს არანაირი წყლის რესურსის გამოყენებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქმიანობას წყლის გარემოზე ზემოქმედება არ ექნება.

6.2. ზემოქმედება ნიადაგებზე

ზეთების საცავი წარმოადგენს თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილ შენობას, რომელიც აღიჭურვება ავარიული ზეთშემკრები სისტემით და შენობაში შექმნილი იქნება დახურული და იზოლირებული გარემო, საიდანაც გამორიცხულია რაიმე სახის დაბინძურების გარე პერიმეტრზე გატანა. ამასთან, კასრები ზეთსაცავში შემოტანის და გატანის დროს იქნება ქარხნულად დალუქული და როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული არ იგეგმება ზეთთებთან არანაირი მანიპულაცია. აღნიშნული საცავი შეასრულებს მხოლოდ კასრების მიძღები და გამცემი პუნქტის როლს.

საპროექტო ტერიტორიაზე არ გვხვდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, ამასთან გასული საუკუნის 50 წლიდან აღნიშნული ტერიტორია დაფარულია ბეტონის საფარით.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზეთსაცავის არც ექსპლუატაციის პროცესს და არც განსახორციელებელ სამშენებლო სამუშაოებს არანაირი ზემოქმედება არ ექნებათ ნიადაგზე.

6.3. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

საპროექტო ობიექტი არ ითვალისწინებს რაიმე სახის გაფრქვევის წყაროს არსებობას. შესაბამისად, ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე ნულის ტოლია.

6.4. ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე

საპროექტო ზეთსაცავის განთავსების ტერიტორია გასული საუკუნის 50 წლებიდან განიცდის ანთროპოგენულ და ტექნოგენურ ზემოქმედებას და ამ პერიოდის განმავლობაში დამყარებულია გარკვეული წონასწორობა გარემოსთან.

ზეთსაცავის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ არის აღრიცხული მცენარეთა წითელი ნუსხის სახეობები. პერიმეტრი შემოღობილი და დაცულია, სადაც რეგიონისთვის

დამახასიათებელი ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლების მოხვედრა პრაქტიკულად გამორიცხულია.

მშენებლობის პროცესი არ საჭიროებს ხე-მცენარეების მოჭრას.

ზეთსაცავის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესს არ ექნება ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე.

6.5. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე ახლოს მდებარე დაცული ტერიტორია - სათაფლიის ნაკრძალი, საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 3 კილომეტრით.

საქმიანობას არანაირი ზემოქმედება არ ექნება დაცულ ტერიტორიებზე.

6.6. ზემოქმედება ნარჩენების წარმოქმნის შედეგად

საპროექტო ობიექტი წარმოადგენს ზეთების კასრების საცავს. ზეთსაცავში კასრები შემოტანის და გატანის დროს იქნება ქარხნულად დალუქული. შესაბამისად, ექსპლუატაციის პერიოდში ნარჩენების წარმოქმნა არ არის მოსალოდნელი.

რაც შეეხება მშენებლობის პროცესს - არ არის მოსალოდნელი სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. იმ შემთხვევაში თუ მოხდა რაიმე სახის ინერტული ან საყოფაცხოვრებო ნარჩენის წარმოქმნა, მოხდება მათი შესაბამისი მართვა.

6.7. ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელება

ხმაურითა და ვიბრაციით უმნიშვნელო დაბინძურება მოსალოდნელია მხოლოდ მშენებლობის პროცესში - სამშენებლო სამუშაოების განხორციელების დროს. თუმცა, სამუშაოები არის მცირე მასშტაბის და ჩატარდება მოკლე პერიოდში.

ზეთსაცავის მშენებლობისთვის განსახორციელებელი სამუშაოების მასშტაბების სიმცირიდან გამომდინარე, სამუშაოების შემჭიდროვებული ვადების და მისი მდებარეობის გათვალისწინებით, გამოწვეული ზემოქმედება არის უმნიშვნელო.

6.8. ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი

დაგეგმილ საქმიანობას არ აქვს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება.

6.9. კუმულაციური ზემოქმედება

ზეთსაცავის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ცხრილი 6.1. გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების შეფასება

საქმიანობის მახასიათებლები:	კი	არა	შენიშვნა/კომენტარი
არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება		X	სამუშაოს განხორციელების შედეგად კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის
ბუნებრივი რესურსების გამოყენება		X	პროექტის მიზნებისთვის ბუნებრივი რესურსების (წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება არ იგეგმება.
ნარჩენების წარმოქმნა		X	საპროექტო ობიექტი წარმოადგენს ზეთების კასრების საცავს. ზეთსაცავში კასრები შემოტანის და გატანის დროს იქნება ქარხნულად დალუქული. შესაბამისად, ექსპლუატაციის პერიოდში ნარჩენების წარმოქმნა არ არის მოსალოდნელი. მშენებლობის პროცესის დროს არ არის მოსალოდნელი სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. მშენებლობის დროს რაიმე სახის ინერტული ან საყოფაცხოვრებო ნარჩენის წარმოქმნის შემთხვევაში, მოხდება მათი შესაბამისი მართვა.
გარემოს დაბინძურება		X	სამშენებლო სამუშაოების დროს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ფაქტორებიდან შეიძლება აღვნიშნოთ ხმაურითა და ვიბრაციით დაბინძურება, რომელიც იქნება უმნიშვნელო და დროებითი ხასიათის. ზეთების საცავი იქნება თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი შენობა, რომელიც აღიჭურვება ავარიული ზეთშემკრები სისტემით და შენობაში შექმნილი იქნება დახურული და იზოლირებული გარემო, საიდანაც გამორიცხულია რაიმე სახის დაბინძურების გარე პერიმეტრზე გატანა. ამასთან, კასრები ზეთსაცავში შემოტანის და გატანის დროს იქნება ქარხნულად დალუქული. როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის დროს პრაქტიკულად გამორიცხულია ნეგატიური ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე.
ხმაურით დაბინძურება	X		ზეთსაცავის მშენებლობისთვის განსახორციელებელი სამუშაოების მასშტაბების სიმცირიდან გამომდინარე, შემჭიდროვებული ვადების და მისი მდებარეობის გათვალისწინებით, გამოწვეული ზემოქმედება არის უმნიშვნელო.
საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი		X	მიხედვად იმისა, რომ ზეთსაცავში შემოსული კასრები იქნება ქარხნულად დალუქული და ავარიის ან დაღვრის რისკი არ არსებობს, კომპანიის მიერ ზეთსაცავისთვის გათვალისწინებული ავარიული ზეთშემკრები სისტემის მოწყობა. ავარიული ზეთშემკრები შედგება მიწისზედა ავარიული ზეთშემკრები რკინაბეტონის ზღურბლის ე.წ. ბეტონის აბაზანისგან, რომელიც მოიცავს საცავის მთელ პერიმეტრს, სადაც მოწყობილი იქნება 40 სმ სიმაღლის ზღურბლი. აღნიშნული ბეტონის აბაზანა გათვლილია 50 ტონაზე. ასევე შენობას ექნება 5 ტონიანი მიწისქვეშა ზეთშემკრები. ჯამში ზეთშემკრების საერთო მოცულობა არის 55 ტ. ამასთან შიდა ზღურბლის გარეთ განთავსებულია ბეტონის 1,5 მ სიმაღლის კედელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამორიცხულია ზეთების

ზეთსაცავის მოწყობის პროექტის სკრინინგის ანგარიში

			შენიშვნის გარეშე მოხვედრა ან რაიმე სახის ავარიული შემთხვევა, რომელსაც ზემოქმედება ექნება გარემოზე.
დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი სიახლოვე:	კი	არა	
ჭარბტენიან ტერიტორიასთან		X	არ ესაზღვრება
შავი ზღვის სანაპირო ზოლთან		X	არ ესაზღვრება
ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები		X	არ ესაზღვრება
დაცულ ტერიტორიებთან		X	არ ესაზღვრება
მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან		X	საპროექტო ობიექტს, მდებარეობიდან გამომდინარე, არ ექნება ზემოქმედება დასახლებულ ტერიტორიებზე
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან		x	არ ესაზღვრება
საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:	კი	არა	
ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი		X	პროექტს არ აქვს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება
ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა		X	

7. დასკვნა

საპროექტო ზეთსაცავი იქნება თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მოწყობილი შენობა, რომელიც აღიჭურვება ავარიული ზეთშემკრები სისტემისგან. საცავი შეასრულებს კასრების მიმღები და გამცემი ობიექტის როლს. საცავში შექმნილი იქნება დახურული და გარემოსგან იზოლირებული სივრცე. ობიექტის ექსპლუატაციისას გამორიცხულია რაიმე სახის უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე. საპროექტო ზეთსაცავში შემოტანილი ორას ლიტრიანი კასრები იქნება ქარხნულად დალუქული, რომლებიდანაც ზეთის გაჟონვის რისკი პრაქტიკულად არ არსებობს. შესაბამისად გამორიცხულია რაიმე სახის დაბინძურების გარე პერიმეტრზე გატანა. კომპანიის მიერ ზეთსაცავისთვის დაპროექტებისას გათვალისწინებულია ყველაზე ცუდი სცენარიც და საცავის სრულ პერიმეტრზე მოეწყობა მიწისზედა ავარიული ზეთშემკრები რკინაბეტონის 40 სმ სიმაღლის ზღურბლი ე.წ. ბეტონის აბაზანა, რომელიც გათვლილია 50 ტონაზე. ასევე შენობას ექნება 5 ტონიანი მიწისქვეშა ზეთშემკრები. დამატებით ბოტონის აბაზანის გარეთ არის ბეტონის 1,5 სიმაღლის კედელი, რომელიც დამატებითი დაზღვევის საშუალებაა. ობიექტი არ ითვალისწინებს რაიმე სახის გაფრქვევის წყაროს არსებობას. ზეთსაცავის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ არის აღრიცხული მცენარეთა წითელი ნუსხის სახეობები. პერიმეტრი შემოღობილი და დაცულია, სადაც რეგიონისთვის დამახასიათებელი ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლების მოხვედრა პრაქტიკულად გამორიცხულია.

ამასთან, მშენებლობის პროცესი არ ითვალისწინებს ხე-მცენარეების მოჭრას. ექსპლუატაციის პროცესი არ საჭიროებს არანაირი წყლის რესურსის გამოყენებას. უმნიშვნელო ხმაურისა და ვიბრაციის წარმოქმნა მოსალოდნელია მხოლოდ მშენებლობის პროცესში - სამშენებლო სამუშაოების განხორციელების დროს. თუმცა, ზეთსაცავის მშენებლობისთვის განსახორციელებელი სამუშაოების მასშტაბების სიმცირიდან გამომდინარე, სამუშაოების შემჭიდროვებული ვადების და მისი მდებარეობის გათვალისწინებით, გამოწვეული ზემოქმედება არის უმნიშვნელო. იმის გათვალისწინებით, რომ საცავს ექნება კასრების მხოლოდ მიღების და გაცემის ფუნქცია, ექსპლუატაციის პერიოდში ნარჩენების წარმოქმნა - არ არის მოსალოდნელი. ზეთსაცავს მოემსახურება სახელმწიფო დაცვის სამსახური და აღჭურვილი იქნება ვიდეოკამერებითა და სახანძრო დეტექტორებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზეთსაცავს - წყლის გარემოზე, ნიადაგზე, ატმოსფერულ ჰაერზე, ბიომრავალფეროვნებაზე, დაცულ ტერიტორიებზე და დასახლებულ ტერიტორიებზე ნეგატიური ზემოქმედება არ ექნება. ასევე პროექტის განხორციელებით არ არის მოსალოდნელი სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, ობიექტს არ ექნება კუმულაციური და ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება.